300. **ქვემო ჭალადიდის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — სოფელი ქვემო ჭალადიდი). სასოფლო საბჭოები: ახალსოფლის, პატარა ფოთის, ქარიატის, ქვემო ქვალონის, ქვემო ჭალადიდის, შუა ხორგის და ყულევისა.

ზუგდიდის რაიონი

301. **ოქტომბრის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — რაიკავშირი).

საზღვრები: ოქტომბრის ქუჩა დასაწყისიდან ჯიგარიძის ქუჩამდე, რუსთაველის ქუჩა მდინარე ჩხოუშის ხიდამდე, თეატრალური ქუჩა, შაუმიანის ქუჩა, დიმიტროვის ქუჩა, გეგეჭკორის ჩიხი, ლენინის ქუჩა, ფოთის, ურიაკის, სვერდლოვის, ენგელსის, კონსტიტუციის, ჩელიუსკინელების, საირმის, კოლხიდის, ჩიჩუას, ჭავჭავაძის, პუშკინის, სანაპიროს, ბესიკის, გურამიშვილის, პეტრიაშვილის, ძერძენსკის, ჩკალოვის, ბორკომის, პაპანინის, ერისთავის, მაიაკოვსკის, დუტუ მეგრელის ქუჩები, ოქტომბრის ქუჩა ჯაფარიძის ქუჩიდან ბოლომდე, პირველი მაისის, ჯაფარიძის, ნეკრასოვის, ბარათაშვილის, 8 მარტის, ჭონქაძის, ჯავახიშვილის, გრიბოედოვის, ლომონოსოვის, ქარხნის, ოსტროვსკის, ბაქრის, წალენჯიხის, ლომოურის, კრილოვის, ჩაიკოვსკის, ბარნოვის, მოსკოვის ქუჩები და რუსთაველის ქუჩა მდინარე ჩხოუშის ხიდიდან ბოლომდე.

303. **კიროვის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ენგურის ქაღალდის კომბინატი).

საზღვრები: ლესელიძის, კუბიბშევის, გოგებაშვილის, კრუსკაიას, ტოლსტოის, კიროვის, გაბაშვილის, გოგოლის, ქუთათაისის ქუჩები შესახვევებიანად, ენგურის ქაღალდის კომბინატის ტერიტორია და ხე-ტყის სახერხი ქარხანა.

304. **ინგირის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — სოფელი ინგირი). სასოფლო საბჭოები: ინგირის, ახანთის და შამგონისა.

305. **დარჩელის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — სოფელი დარჩელი). სასოფლო საბჭოები: ანაკლიის, განარკიის, მუხურის, დარჩელის, კოკის და ორსანტიისა.

306. **რუხის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — სოფელი რუხი). სასოფლო საბჭოები: რიყის, რუხის, ჩხორის და ჭყადუანშისა.

307. **ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — სოფელი ორჯონიკიძე). სასოფლო საბჭოები: გრიგოლიშის, კორცხელის, ოდიშის, ორჯონიკიძის და ჯიხასკარისა.

308. **ცაიშის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — სოფელი ცაიში). სასოფლო საბჭოები: დიდი ნედის, ორუფლის, ოქტომბრის, ცაიშის და ჭიოფყაროსი.

309. **ნარაზენის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ხეცერის ჩაის საბჭოთა მეურნეობა). სასოფლო საბჭოები: აბასთუმნის, ახალსოფლის, ნარაზენის და ჩაქვინჯიხისა.

წალენჯიხის რაიონი

310. **წალენჯიხის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ქალაქი წალენჯიხა). წალენჯიხის საქალაქო საბჭო და სასოფლო საბჭოები: ობუჯის, ორჯონიკიძის და დაბა ჯვარის ჯვარზენსუბნის დასახლება.

311. **ჯგალის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — სოფელი ჯგალი). სასოფლო საბჭოები: ნაკოფუს, მიქავას, სარინრის, ჯგალის; ჯვარის სადაბო საბჭოს სოფელი ჩქვალერი.

312. **ლიის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — სოფელი ლია). ჯვარის სადაბო საბჭო (გარდა სოფელ ჩქვალერისა და დაბა ჯვარის ჯვარზენსუბნის დასახლებისა) და სასოფლო საბჭოები: ლიის, მუქავას, ფახულარის და ჭალისა.

ჩხოროწყუს რაიონი

313. **ჩხოროწყუს საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — დაბა ჩხოროწყუ). ჩხოროწყუს სადაბო საბჭო და სასოფლო საბჭოები: კირცხის, ლეწურწუმის და ქვედა ჩხოროწყუსი.

314. **ლესიჭინის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — სოფელი ლესიჭინე). სასოფლო საბჭოები: ახუთის, ლესიჭინის, ნაკიანის და ჭოლასი.

315. **ხაბუმის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — სოფელი ხაბუმე). სასოფლო საბჭოები: თაიასა, ზუმისა, ნაფიჩხოვის, მუხურის და ხაბუმესი.

გეგეჭკორის რაიონი

316. **გეგეჭკორის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — დაბა გეგეჭკორი). გეგეჭკორის სადაბო საბჭო და სასოფლო საბჭოები: ლეხაინდრაოს, ნაგვაზოს, სერგეეთის და ხუნწისა.

317. **დიდი ჭყონის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — სოფელი დიდი ჭყონი). სასოფლო საბჭოები: დიდი ჭყონის, დოშაყუს, კურუზუს, სალხინოს და ტალერისა.

318. **თამაკონის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — სოფელი თამაკონი). სასოფლო საბჭოები: თამაკონის, გაჟედილის, გურძემის, ინჩხურის, კიწიის და ნახუნავოსი.

319. **ბანძის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — სოფელი ბანძა). სასოფლო საბჭოები: აბუდავის, ბანძის, ედიდეკარის, ნაჯახავოს და ონოღლისა.

მესტიის რაიონი

320. **მესტიის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — სოფელი მესტია). სასოფლო საბჭოები: იფარის, კალის, ლატალის, ლენჯერის, მესტიის და შულახისა.

321. **ხაიშის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — სოფელი ხაიში). სასოფლო საბჭოები: ბეჩოს, ეწერის, ლახამუღლის, ნაკის, ფარის, ცხუმარის, ჭუბერის და ხაიშისა.

ქალაქი ფოთი

322. **რუსთაველის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — რუსთაველის ქ. № 23, კულტურის სახლი).

საზღვრები: მშვიდობის ქუჩა ქალაქის ხიდიდან მდინარე რიონის მარცხენა ნაპირით ზღვის სანაპირომდე; ზღვის ნაპირიდან მდინარე დედბერიამდე, მდინარე დედბერიდან მდინარე კაპარჭინის მარცხენა ნაპირი პალიასტომის ტბამდე, პალიასტომის ტბის სანაპირო პირტახას ქუჩამდე, პირტახასა ქუჩიდან ნინოშვილის ქუჩის კენტი ნომრები კიროვის ქუჩამდე, კიროვის ქუჩის ლუწი ნომრები ნინოშვილის ქუჩიდან რუსთაველის ქუჩის პირდაპირი გადაკვეთით ქალაქის ხიდამდე.

323. **ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — რუსთაველის ქ. № 17. საქ. კომ ფოთის საქალაქო კომიტეტის პოლიტიკური განათლების სახლი).

საზღვრები: ქალაქის ხიდიდან პირდაპირი გადაკვეთით კიროვის ქუჩამდე, კიროვის ქუჩის კენტი ნომრები რუსთაველის ქუჩიდან ნინოშვილის ქუჩამდე, ნინოშვილის ქუჩის ლუწი ნომრები ეკონომიკურ კოლეჯამდე, 25 თებერვლის, ჩიტაძის, 5 დეკემბრის, სოხუმის, 9 მაისის, შიროზიას, სვანეთის, წულუკიძის, წერეთლის, ჩხოუშის, ბელინსკის, ვაკელის, რიგვავას, ახალსოფლის, კომკავშირის, თბილისის, ძნელაძის, ლუსკევიჩარგის, ტელმანის, ორჯონიკიძის, პლეხანოვის, ხოზე დიასის ქუჩები, ნინოშვილის ქუჩა შესახვევიანად, ყაზბეგის, ვოროსკის, მეუნარგიას, კლდიაშვილის, ქუჩიშვილის, პიონერის, ორბელიანის, ოდიშის, მელიქიშვილის, სარაჯიშვილის, ფალიაშვილის, ბათუმის, საკაძის, მაჩაბლის, დარასელის, კლარა ცეტკინის, მოსაშვილის და ტურგენევის ქუჩები.

302. **ლენინის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ჩაის საწნეხი ფაბრიკა).

საზღვრები: ლენინის, დადიანის, ფრუნზეს, კეცხოველის, თათარაშვილის, პარიზის კომუნის, ცხაკაიას, მაზარადის, 26 კომისრის, ნარიმანოვის, ლერმონტოვის, კალინინის, ერკვანის, ფოთის, ურიაკის, სვერდლოვის, ენგელსის, კონსტიტუციის, ჩელიუსკინელების, საირმის, კოლხიდის, ჩიჩუას, ჭავჭავაძის, პუშკინის, სანაპიროს, ბესიკის, გურამიშვილის, პეტრიაშვილის, ძერძენსკის, ჩკალოვის, ბორკომის, პაპანინის, ერისთავის, მაიაკოვსკის, დუტუ მეგრელის ქუჩები, ოქტომბრის ქუჩა ჯაფარიძის ქუჩიდან ბოლომდე, პირველი მაისის, ჯაფარიძის, ნეკრასოვის, ბარათაშვილის, 8 მარტის, ჭონქაძის, ჯავახიშვილის, გრიბოედოვის, ლომონოსოვის, ქარხნის, ოსტროვსკის, ბაქრის, წალენჯიხის, ლომოურის, კრილოვის, ჩაიკოვსკის, ბარნოვის, მოსკოვის ქუჩები და რუსთაველის ქუჩა მდინარე ჩხოუშის ხიდიდან ბოლომდე.

303. **კიროვის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ენგურის ქაღალდის კომბინატი).

საზღვრები: ლესელიძის, კუბიბშევის, გოგებაშვილის, კრუსკაიას, ტოლსტოის, კიროვის, გაბაშვილის, გოგოლის, ქუთათაისის ქუჩები შესახვევებიანად, ენგურის ქაღალდის კომბინატის ტერიტორია და ხე-ტყის სახერხი ქარხანა.

304. **ინგირის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — სოფელი ინგირი). სასოფლო საბჭოები: ინგირის, ახანთის და შამგონისა.

305. **დარჩელის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — სოფელი დარჩელი). სასოფლო საბჭოები: ანაკლიის, განარკიის, მუხურის, დარჩელის, კოკის და ორსანტიისა.

306. **რუხის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — სოფელი რუხი). სასოფლო საბჭოები: რიყის, რუხის, ჩხორის და ჭყადუანშისა.

307. **ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — სოფელი ორჯონიკიძე). სასოფლო საბჭოები: გრიგოლიშის, კორცხელის, ოდიშის, ორჯონიკიძის და ჯიხასკარისა.

308. **ცაიშის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — სოფელი ცაიში). სასოფლო საბჭოები: დიდი ნედის, ორუფლის, ოქტომბრის, ცაიშის და ჭიოფყაროსი.

309. **ნარაზენის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ხეცერის ჩაის საბჭოთა მეურნეობა). სასოფლო საბჭოები: აბასთუმნის, ახალსოფლის, ნარაზენის და ჩაქვინჯიხისა.

წალენჯიხის რაიონი

310. **წალენჯიხის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ქალაქი წალენჯიხა). წალენჯიხის საქალაქო საბჭო და სასოფლო საბჭოები: ობუჯის, ორჯონიკიძის და დაბა ჯვარის ჯვარზენსუბნის დასახლება.

311. **ჯგალის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — სოფელი ჯგალი). სასოფლო საბჭოები: ნაკოფუს, მიქავას, სარინრის, ჯგალის; ჯვარის სადაბო საბჭოს სოფელი ჩქვალერი.

312. **ლიის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — სოფელი ლია). ჯვარის სადაბო საბჭო (გარდა სოფელ ჩქვალერისა და დაბა ჯვარის ჯვარზენსუბნის დასახლებისა) და სასოფლო საბჭოები: ლიის, მუქავას, ფახულარის და ჭალისა.

ჩხოროწყუს რაიონი

313. **ჩხოროწყუს საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — დაბა ჩხოროწყუ). ჩხოროწყუს სადაბო საბჭო და სასოფლო საბჭოები: კირცხის, ლეწურწუმის და ქვედა ჩხოროწყუსი.

314. **ლესიჭინის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — სოფელი ლესიჭინე). სასოფლო საბჭოები: ახუთის, ლესიჭინის, ნაკიანის და ჭოლასი.

315. **ხაბუმის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — სოფელი ხაბუმე). სასოფლო საბჭოები: თაიასა, ზუმისა, ნაფიჩხოვის, მუხურის და ხაბუმესი.

გეგეჭკორის რაიონი

316. **გეგეჭკორის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — დაბა გეგეჭკორი). გეგეჭკორის სადაბო საბჭო და სასოფლო საბჭოები: ლეხაინდრაოს, ნაგვაზოს, სერგეეთის და ხუნწისა.

317. **დიდი ჭყონის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — სოფელი დიდი ჭყონი). სასოფლო საბჭოები: დიდი ჭყონის, დოშაყუს, კურუზუს, სალხინოს და ტალერისა.

318. **თამაკონის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — სოფელი თამაკონი). სასოფლო საბჭოები: თამაკონის, გაჟედილის, გურძემის, ინჩხურის, კიწიის და ნახუნავოსი.

319. **ბანძის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — სოფელი ბანძა). სასოფლო საბჭოები: აბუდავის, ბანძის, ედიდეკარის, ნაჯახავოს და ონოღლისა.

მესტიის რაიონი

320. **მესტიის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — სოფელი მესტია). სასოფლო საბჭოები: იფარის, კალის, ლატალის, ლენჯერის, მესტიის და შულახისა.

321. **ხაიშის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — სოფელი ხაიში). სასოფლო საბჭოები: ბეჩოს, ეწერის, ლახამუღლის, ნაკის, ფარის, ცხუმარის, ჭუბერის და ხაიშისა.

ქალაქი ფოთი

322. **რუსთაველის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — რუსთაველის ქ. № 23, კულტურის სახლი).

საზღვრები: მშვიდობის ქუჩა ქალაქის ხიდიდან მდინარე რიონის მარცხენა ნაპირით ზღვის სანაპირომდე; ზღვის ნაპირიდან დედბერიამდე, მდინარე დედბერიდან მდინარე კაპარჭინის მარცხენა ნაპირი პალიასტომის ტბამდე, პალიასტომის ტბის სანაპირო პირტახას ქუჩამდე, პირტახასა ქუჩიდან ნინოშვილის ქუჩის კენტი ნომრები კიროვის ქუჩამდე, კიროვის ქუჩის ლუწი ნომრები ნინოშვილის ქუჩიდან რუსთაველის ქუჩის პირდაპირი გადაკვეთით ქალაქის ხიდამდე.

323. **ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — რუსთაველის ქ. № 17. საქ. კომ ფოთის საქალაქო კომიტეტის პოლიტიკური განათლების სახლი).

საზღვრები: ქალაქის ხიდიდან პირდაპირი გადაკვეთით კიროვის ქუჩამდე, კიროვის ქუჩის კენტი ნომრები რუსთაველის ქუჩიდან ნინოშვილის ქუჩამდე, ნინოშვილის ქუჩის ლუწი ნომრები ეკონომიკურ კოლეჯამდე, 25 თებერვლის, ჩიტაძის, 5 დეკემბრის, სოხუმის, 9 მაისის, შიროზიას, სვანეთის, წულუკიძის, წერეთლის, ჩხოუშის, ბელინსკის, ვაკელის, რიგვავას, ახალსოფლის, კომკავშირის, თბილისის, ძნელაძის, ლუსკევიჩარგის, ტელმანის, ორჯონიკიძის, პლეხანოვის, ხოზე დიასის ქუჩები, ნინოშვილის ქუჩა შესახვევიანად, ყაზბეგის, ვოროსკის, მეუნარგიას, კლდიაშვილის, ქუჩიშვილის, პიონერის, ორბელიანის, ოდიშის, მელიქიშვილის, სარაჯიშვილის, ფალიაშვილის, ბათუმის, საკაძის, მაჩაბლის, დარასელის, კლარა ცეტკინის, მოსაშვილის და ტურგენევის ქუჩები.

324. **ლენინის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ლენინის ქ. № 49, გემთშესაკეთებელი სახელოსნოს კლუბი).

საზღვრები: მდინარე რიონის სამხრეთი ტოტის მარჯვენა ნაპირი, შავი ზღვის პირამდე, ზღვის სანაპირო მდინარე რიონის ჩრდილოეთ ტოტამდე, მდინარე რიონის ჩრდილოეთი ტოტის მარცხენა სანაპირო სამხრეთი ტოტიდან მის შესართავამდე.

325. **ნავსადგურის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — მეზღვაურთა კლუბი).

საზღვრები: შავი ზღვის სანაპირო მდინარე რიონის ჩრდილოეთი ტოტიდან მდინარე რიონის ახალ კალაპოტამდე, მდინარე რიონის ახალი კალაპოტის მარცხენა სანაპირო ზღვის შესართავიდან მდინარე რიონის სათავე ნაგებობიდან; მდინარე რიონის სათავე ნაგებობიდან გზატკეცილი ჭავჭავაძის ქუჩამდე. ჭავჭავაძის ქუჩიდან რკინიგზის ხაზით კოოპერაციის ქუჩამდე, კოოპერაციის ქუჩის კენტი ნომრები რკინიგზის ხაზიდან მალანიას ქუჩამდე, მალანიას ქუჩის კენტი ნომრები კოოპერაციის ქუჩიდან პირდაპირი ხაზით მდინარე რიონის ჩრდილოეთ შტომდე, მდინარე რიონის ჩრდილოეთი შტოს მარჯვენა სანაპირო შავი ზღვის შესართავამდე.

აფხაზეთის ასსრ

ქალაქი სოხუმი

326. **თბილისის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — თბილისის გზატკეცილი № 30, მე-14 საშუალო სკოლა).

საზღვრები: აღმოსავლეთით მდინარე კელასური — ზღვის ნაპირიდან ქალაქის საზღვრამდე ბესლეთის სასოფლო საბჭოსთან; ჩრდილოეთით ქალაქის საზღვრები ბესლეთის სასოფლო საბჭოსთან — მდინარე კელასურიდან მდინარე ბესლეთამდე; დასავლეთით მდინარე ბესლეთი — ქალაქის საზღვრებიდან ბესლეთის სასოფლო საბჭოსთან ზღვის ნაპირი მდინარე ბესლეთიდან მდინარე კელასურამდე.

327. **კალინინის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — კალინინის ქ. № 39, მე-7 საშუალო სკოლა).

საზღვრები: აღმოსავლეთით — მდინარე ბესლეთი შევჩენკოს ქუჩიდან ქალაქის საზღვრებამდე ბესლეთის სასოფლო საბჭოსთან; ჩრდილოეთით — ქალაქის საზღვრები ბესლეთის სასოფლო საბჭოსთან მდინარე ბესლეთიდან ბარათაშვილის ქუჩამდე; დასავლეთით — ბარათაშვილის ქუჩის ლუწი ნომრები ქალაქის საზღვრებიდან ბესლეთის სასოფლო საბჭოსთან ლენინის ქუჩამდე, ლენინის ქუჩა ბარათაშვილის ქუჩიდან ოთხი მარტის ქუჩამდე, ოთხი მარტის ქუჩის კენტი ნომრები ლენინის ქუჩიდან ფრუნზეს ქუჩამდე; ფრუნზეს ქუჩის ლუწი ნომრები ოთხი მარტის ქუჩიდან კიროვის ქუჩამდე;. სამხრეთით — კიროვის ქუჩის ლუწი ნომრები ფრუნზეს ქუჩიდან ლენინის ქუჩამდე, ლენინის ქუჩის კენტი ნომრები ჭავჭავაძის ქუჩამდე, ჭავჭავაძის ქუჩის ლუწი ნომრები ლენინის ქუჩიდან გულიას ქუჩამდე, გულიას ქუჩის ლუწი ნომრები ჭავჭავაძის ქუჩიდან კიროვის ქუჩამდე, კიროვის ქუჩის ლუწი ნომრები გულიას ქუჩიდან შევჩენკოს ქუჩამდე, შევჩენკოს ქუჩის ლუწი ნომრები კიროვის ქუჩიდან მდინარე ბესლეთამდე.

328. **ლენინის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — მშვიდობის პროსპექტი № 29, მე-10 საშუალო სკოლა).

საზღვრები: აღმოსავლეთიდან — შევჩენკოს ქუჩის კენტი ნომრები მდინარე ბესლეთიდან კიროვის ქუჩამდე, კიროვის ქუჩის კენტი ნომრები შევჩენკოს ქუჩიდან გულიას ქუჩამდე, გულიას ქუჩის კენტი ნომრები კიროვის ქუჩიდან ჭავჭავაძის ქუჩამდე; ჩრდილოეთით — ჭავჭავაძის ქუჩის კენტი ნომრები გულიას ქუჩიდან ლენინის ქუჩამდე; დასავლეთით — ლენინის ქუჩის ლუწი ნომრები ჭავჭავაძის ქუჩიდან კიროვის ქუჩამდე, კიროვის ქუჩის კენტი ნომრები ლენინის ქუჩიდან ფრუნზეს ქუჩამდე, ფრუნზეს ქუჩის ლუწი ნომრები კიროვის ქუჩიდან ზღვის ნაპირამდე; სამხრეთით — ზღვის ნაპირი ფრუნზეს ქუჩიდან მდინარე ბესლეთამდე, მდინარე ბესლეთი ზღვის ნაპირიდან შევჩენკოს ქუჩამდე.

329. **ოქტომბრის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ოქტომბრის ქ. № 3, ექიმთა სახლი).

საზღვრები: აღმოსავლეთით — ფრუნზეს ქუჩის კენტი ნომრები ზღვის ნაპირიდან ოთხი მარტის ქუჩამდე, ოთხი მარტის ქუჩის ლუწი ნომრები ფრუნზეს ქუჩიდან ლენინის ქუჩამდე, ლენინის ქუჩა ოთხი მარტის ქუჩიდან ბარათაშვილის ქუჩამდე; ჩრდილოეთით — რკინიგზა ლენინის ქუჩიდან ორჯონიკიძის ქუჩამდე; დასავლეთით — ორჯონიკიძის ქუჩის ლუწი ნომრები რკინიგზიდან ზღვის ნაპირამდე; სამხრეთით — ზღვის ნაპირი ორჯონიკიძის ქუჩიდან ფრუნზეს ქუჩამდე.

330. **ჭავჭავაძის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ჯგუბერიას ქ. № 17, მე-4 საშუალო სკოლა).

საზღვრები: აღმოსავლეთით — ორჯონიკიძის ქუჩის კენტი ნომრები ზღვის ნაპირიდან რკინიგზამდე; ჩრდილოეთით — რკინიგზა ორჯონიკიძის ქუჩიდან თარხნიშვილის ქუჩამდე; დასავლეთით — თარხნიშვილის ქუჩის ლუწი ნომრები რკინიგზიდან ზღვის ნაპირამდე; სამხრეთით — ზღვის ნაპირი თარხნიშვილის ქუჩიდან ორჯონიკიძის ქუჩამდე.

331. **ვაგზლისპირა საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ჭოჭუას ქ. № 44, რკინიგზელთა კულტურის სახლი).

საზღვრები: აღმოსავლეთით — ბარათაშვილის ქუჩის კენტი ნომრები ლენინის ქუჩიდან ქალაქის საზღვრამდე თავისუფლების სასოფლო საბჭოსთან; ჩრდილოეთით — ქალაქის საზღვრები თავისუფლებისა და გუმისთის სასოფლო საბჭოთან ბარათაშვილის ქუჩიდან ათონის გზატკეცილამდე; დასავლეთით — ათონის გზატკეცილის ლუწი ნომრები ქალაქის საზღვრიდან გუმისთის სასოფლო საბჭოსთან ჭოჭუას ქუჩამდე; სამხრეთით — ჭოჭუას ქუჩის ლუწი ნომრები ათონის გზატკეცილიდან ლენინის ქუჩამდე.

332. **ენერგეტიკული საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — დასახლების ქ. № 3. საქართველოს სსრ გზატკეცილების სამმართველოს მექანიკური სახელოსნოს კანტორა).

საზღვრები: აღმოსავლეთით — თარხნიშვილის ქუჩის კენტი ნომრები ზღვის ნაპირიდან ჭოჭუას ქუჩამდე; ჩრდილოეთით — ჭოჭუას ქუჩა თარხნიშვილის ქუჩიდან ათონის გზატკეცილამდე, ათონის გზატკეცილის კენტი ნომრები ჭოჭუას ქუჩიდან ქალაქის საზღვრამდე. გუმისთის სასოფლო საბჭოსთან; დასავლეთით — ქალაქის საზღვარი გუმისთის სასოფლო საბჭოსთან ათონის გზატკეცილიდან მშვიდობის პროსპექტამდე; სამხრეთით — მშვიდობის პროსპექტის ლუწი ნომრები ასაკეცების გზატკეცილიდან მდინარე ტეხურამდე. მდინარე ტეხურა მშვიდობის პროსპექტიდან ზარეჩნაიას ქუჩამდე, ზარეჩნაიას ქუჩის ლუწი ნომრები მდინარე ტეხურიდან ტიტოვის ქუჩამდე. ტიტოვის ქუჩის კენტი ნომრები ზარეჩნაიას ქუჩიდან კუიბიშევის ქუჩამდე, შრომის ქუჩის ლუწი ნომრები კუიბიშევის ქუჩიდან მშენებელთა ქუჩამდე, მშენებელთა ქუჩის ლუწი ნომრები შრომის ქუჩიდან ზღვის ნაპირამდე, ზღვის ნაპირი მშენებელთა ქუჩიდან თარხნიშვილის ქუჩამდე.

333. **ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ბზიფის გზატკეცილი № 47, ს. ორჯონიკიძის სახელობის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატი).

საზღვრები: აღმოსავლეთით — მშენებელთა ქუჩის კენტი ნომრები ზღვის ნაპირიდან შრომის ქუჩამდე, შრომის ქუჩის კენტი ნომრები მშენებელთა ქუჩიდან ტიტოვის ქუჩამდე, ტიტოვის ქუჩის ლუწი ნომრები კუიბიშევის ქუჩიდან ზარეჩნაიას ქუჩამდე. ზარეჩნაიას ქუჩის კენტი ნომრები ტიტოვის ქუჩიდან მდინარე ტეხურამდე; ჩრდილოეთით — მდინარე ტეხურა ზარეჩნაიას ქუჩიდან მშვიდობის პროსპექტამდე, მშვიდობის პროსპექტის კენტი ნომრები მდინარე ტეხურიდან ქალაქის საზღვრამდე გუმისთის სასოფლო საბჭოსთან; სამხრეთით — ზღვის ნაპირი ხოლოდნაირეჩკას სასოფლო საბჭოსთან ქალაქის საზღვრებიდან ნინოშვილის ქუჩამდე.

338. **გაგრის მეორე საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ქალაქი გაგრა, სომხური საშუალო სკოლა).

საზღვრები: ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით — ქალაქის საზღვარი კოლხიდის სასოფლო აბაზოსთან; დასავლეთით — ნინოშვილის ქუჩის ლუწი ნომრები კოლხიდის სასოფლო საბჭოსთან ქალაქის საზღვრიდან ზღვის ნაპირამდე; სამხრეთით — ზღვის ნაპირი ნინოშვილის ქუჩიდან ქალაქის

ტუნისელი ხალხის დღესასწაული

ტუნისი, 17 იანვარი. საკდესის კორესპონდენტი ა. მაკაროვი იტყობინება:

ტუნისის რესპუბლიკა აღნიშნავს დიდ დღესასწაულს — დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დღეს.

15 წლის წინათ, 1952 წლის 18 იანვარს საფრანგეთის კოლონიურმა ხელისუფლებამ, რომლებიც ცდილობდნენ ჩაეხშოთ ტუნისში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, დაატყვევა ბურგიბას პარტია „ახალი დუსტურის“ ხელმძღვანელები და მთელი რიგი პროგრესულ ორგანიზაციათა მოღვაწეები.

დაპატიმრების პასუხად ტუნისელებმა გააძლიერეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა. მთელ ტუნისში მოეწყო მასობრივი გაფიცვები, დემონსტრაციები და მიტინგები. სუსში, სფაქსში, ბიზერტსა და სხვა ქალაქებში ხდებოდა შეიარაღებული შეტაკებანი კოლონიზატორთა ჯარებთან.

განმათავისუფლებელი ბრძოლის შედეგად ტუნისელმა ხალხმა მოიპოვა დამოუკიდებლობა.

ახლა ტუნისელები თავიანთ დღესასწაულს აღნიშნავენ სრული ეროვნული სუვერენიტეტის პირობებში.

ტუნისში ადარ დგანან უცხოეთის საოკუპაციო ჯარები. მას შემდეგ, რაც განხორციელდა 1964 წლის 12 მაისის კანონი უცხოელ კოლონიზატორთა მთელი მიწების ნაციონალიზაციის შესახებ, ტუნისში ლიკვიდირებულია კოლონიური ბატონობის უკანასკნელი დასაყრდენი.

დღეს მმართველი „სოციალისტური დუსტურის პარტიის“ პოლიტბიურომ გამოაქვეყნა მოწოდებანი, რომლებშიც ხაზგასმულია, რომ ტუნისს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი იაროს თავისი ეროვნული დამოუკიდებლობის შემდგომი განმტკიცების გზით.

აფრიკის გმირის ხსოვნისათვის

ბრაზავილი, 17 იანვარი. (საკდესი). დღეს კინშასის კონგოში პირველად ოფიციალურად აღინიშნება კონგოს დამოუკიდებელი მთავრობის პირველი პრემიერ-მინისტრის პატრის ლუმუმბას ავიზაკურად მოკვლის მეექვსე წლისთავი. პატრის ლუმუმბა 1961 წლის 17 იანვარს მოკლეს.

მობუტუს მთავრობამ ლუმუმბა კონგოს ეროვნულ გმირად გამოაცხადა. კინშასასა და კონგოს სხვა ქალაქებში დაიდგმება ლუმუმბას ძეგლები. „ლუმუმბა, — ნათქვამია დღეს კინშასის რადიოს გადაცემაში, — კონგოსა და აფრიკის გმირია. იგი დაიღუპა კონგოს ერთობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გულისთვის. ლუმუმბა აფრიკის კონტინენტის სიამაყეა“.

გეოგენ მთავრობის ეკონომიურ პოლიტიკას

ბრიუსელი, 17 იანვარი. (საკდესი). ბელგიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მანიფესტმა, რომელმაც ამას წინათ სიტყვა წარმოთქვა რადიოსი და ტელევიზიით.

როგორც ცნობილია, ვანდენ ბეინანტსმა ამ გამოსვლაში ფაქტიურად აღიარა, რომ ბელგიის მთელის „მძიმე თვეები“, ეკონომიური განვითარების ტემპის შენელება, უმუშევრობის შემდგომი გადიდება, მდგომარეობის გართულება იმ რაიონებში ეკონომიურ დეპრესიას რომ განიცდიან.

ბელგიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო „მოითხოვს მსხვილი კაპიტალის დაბეგვრასა და სამხედრო ხარჯების მნიშვნელოვან შემცირებას“. იგი გმობს მთავრობის განზრახვას შემოიღოს ახალი გადასახადები, შეამციროს სახელმწიფო ხარჯები სოციალური საჭიროებისათვის, აგრეთვე შეზღუდოს მუშა და სახალხო ორგანიზაციების უფლებანი ინობოლონ თავიანთი ინტერესებისათვის.

ბელგიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს განცხადება დღეს გამოქვეყნებულია საინფორმაციო ბიულეტენ „კპბ-ენფორმასიონში“.

◆

ეს ხდება ამერიკის შეერთებულ შტატებში...

ნიუ-იორკი, 17 იანვარი. საკდესის კორესპონდენტი ლ. იდროშნიკოვი იტყობინება:

წვრილმანი დანაშაულისათვის პატიმრებს ჩვეულებრივ სცემდნენ. სცემდნენ თოკით, ქამრით, ჯოხით, ჯაკეთი, ტყვიით ავსებული რეზინის მილით, უფრო სერიოზული დანაშაულისთვის მათ ბრტყელტუჩებით უმტვრევდნენ თითებს, გლეჯდნენ ფრჩხილებს, ყურებს, ნესტოებს, ნემსებს უყრიდნენ ფრჩხილებს ქვეშ. ჯალათებმა კიდევ უფრო საშინელი წამება მოიგონეს, რომელსაც ინტელიგენტურად „ტელეფონი“ უწოდეს: პატიმარს ყურებზე ჩაოყაბევდნენ ლითონის რგოლებს და მათში ღენს ატარებდნენ...

ეს როდი ხდებოდა ოსვენციმში, ან ფაშისტური გესტაპოს დილეგებში. ეს ხდება ამერიკის შეერთებულ შტატებში. ასე ეპყრობიან იმ პატიმრებს, რომლებიც სასჯელს იხდიან არაკანონის შტატის ტაკერის „შრომითს ბანაკში“. ეს ნაოქვამია სპეციალური კომისიის მოხსენებაში, რომელიც შტატის გუბერნატორმა გამოაქვეყნა. ამ კომისიამ გასული წლის აგვისტოში მოიწყო ტაკერის ბანაკის საინსპექციო შემოწმება. დართო რა ამ მოხსენების გამოქვეყნების ნება, შტატის გუბერნატორმა აღიარა: ვერ ვიტყვი თუ რამდენად შეიცავდა პირობები ბანაკში გასული წლის აგვისტოს შემოგვი.

საერთაშორისო ცხოვრება

მეგობრობის კონცერტები

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად მრავალი საინტერესო ღონისძიება ხორციელდება არა მარტო ჩვენს სამშობლოში, არამედ საზღვარგარეთის ქვეყნებშიც, კერძოდ, მოძმე სოციალისტურ სახელმწიფოებში. ეწყობა შეხვედრები ძველ რევოლუციონერებთან, ოქტომბრის შტურმის მონაწილეებთან, იმართება მუსიკალური და კინოფესტივალები, საღამო-კონცერტები, გამოფენები და სხვ.

სწორედ ამ საიუბილეო თარიღს მიეძღვნა საბჭოთა სიმფონიური მუსიკის კონცერტები, რომლებიც ამ დღეებში გაიმართა პოლონეთის ერთ-ერთ მსხვილ სამრეწველო და კულტურულ ცენტრში ქალაქ პოზნანში. ამ კონცერტებზე შესრულეს კომპოზიტორ რევაზ გაბიჩვაძის სიმფონია. ამასთან დაკავშირებით გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტი ლ. კიკნაძე ტელეფონით დაუკავშირდა ქ. პოზნანს და ესაუბრა პოლონეთის კომპოზიტორთა კავშირის პოზნანის განყოფილების თავმჯდომარეს, პოზნანის კონსერვატორიის პროფესორს ფლორიან დომბროვსკის. აი რა უთხრა დომბროვსკიმ ჩვენს კორესპონდენტს:

— თავიდანვე უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი ქალაქის მშრომელებმა, მუსიკალურმა საზოგადოებრიობამ და პრესამ დიდი ინტერესი გამოიჩინეს საბჭოთა სიმფონიური მუსიკისადმი. გაიმართა ორი კონცერტი. ეს იყო ნამდვილი მეგობრობის კონცერტები, მიუხედავად იმისა, რომ ორივე სალამოს ერთი და იგივე პროგრამა შესრულდა, თანაც ზამთრის ცუდი ამინდი იყო, უნივერსიტეტის დიდ დარბაზში — ჩვენი ქალაქის ყველაზე საუკეთესო საკონცერტო დარბაზში (იქ 1.000-ზე მეტი ადგილია), არც ერთი თავისუფალი ადგილი არ დარჩენილა.

კონცერტის პირველ განყოფილებაში შესრულდა ლიტველი კომპოზიტორის ედუარდას ბალსისის „სავიოლინო კონცერტი“ და „დრამატული ფრესკები“. მეორე განყოფილება დაეთმო თქვენს თანამემამულეს — კომპოზიტორ რევაზ გაბიჩვაძეს. პროგრამაში იყო მისი „სიმფონია ორკესტრის, ფორტეპიანოსა და ლიტავრებისათვის ხუთ ნაწილად“. ნაწარმოები შეასრულა ჩვენი ქალაქის ფილარმონიის სიმფონიურმა ორკესტრმა მთავარი დირიჟორის შოტაკის ხელმძღვანელობით.

თამამად შემიძლია ვთქვა, რომ კონცერტებს დიდი წარმატება ხვდა. განსაკუთრებით ინტერესით იქნა მიღებული გაბიჩვაძის სიმფონია. ამის შესახებ მე უკვე გამოვგზავნე დეპეშა თბილისში, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარის სახელზე. აქვე უნდა გითხრათ, რომ პოლონეთის კომპოზიტორთა კავშირის ხელმძღვანელმა ხტეფან სლედინსკიმ დეპეშა გაუგზავნა მოსკოვში ტიხონ ხრენიკოვს — საბჭოთა კავშირის კომპოზიტორთა კავშირის პირველ მდივანს და მიულოცა საბჭოთა კომპოზიტორების — ბალხისისა და გაბიჩვაძის ნაწარმოებთა წარმატება პოზნანის კონცერტებზე.

როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა უკვე იციან, პოზნანში კონცერტებს ესწრებოდნენ პროგრამაში შეტანილ ნაწარმოებთა ავტორებიც, რომლებიც შემდეგ პოლონეთის დედაქალაქში ჩავიდნენ. „კომუნისტის“ კორესპონდენტი ტელეფონით დაუკავშირდა ვარშავას და

ტელეფონის ხაზზეა ვარშავა და პოზნანი

სასტუმრო „ბრისტოლში“ ესაუბრა რევაზ გაბიჩვაძეს:

— ძალიან გამიხარდა, — თქვა კომპოზიტორმა, — როცა ტელეფონისტმა მითხრა, „კომუნისტის“ რედაქციიდან რეკავენ. პოლონელ მეგობრებთან სტუმრობა უაღრესად სასიამოვნოდ დამრჩება. აქ ძალიან სიყვარულით და გულითადობით მიგვიღეს. პოზნანის გაზეთებმა დაბეჭდეს ჩვენი პორტრეტები და მოკლე ინტერვიუები. მივვიღეს პოლონეთ-სსრ კავშირის მეგობრობის სახოგადოებაში. მე გამოვედი პოზნანის რადიოთი და რადიომსმენელებს ვესაუბრე ქართულ კულტურაზე, კერძოდ, მუსიკალურ ხელოვნებაზე. კონცერტებისადმი დიდი ინტერესი გამოიჩინეს. ეს მით უფრო სასიხარულოა, რომ, როგორც პოლონელმა მეგობრებმა მითხრეს, პოზნანი საუკეთესო მუსიკალური ტრადიციების ქალაქია.

ვარშავაში რამდენიმე დღეს დავრჩებით, შემდეგ კი სამშობლოში გამოვემგზავრებით.

ვინც ერთხელ მაინც ყოფილა ზაფხულში რიწის ტბაზე, მას არასოდეს არ დავიწყდება ამ ადგილების სილამაზე.

არანაკლებ მიმზიდველ სანახაობას წარმოადგენს რიწა ამ ზამთრის დღეებშიც. მიმდინარე წლის დამდეგიდან რიწა ზამთრის კურორტი გახდა.

აქ მუშაობს სასტუმრო, რესტორანი.

გაიხსნა სათხილამურო ბაზა, სადაც შეგიძლიათ ქირით მიიღოთ თხილამურები და სათხილამურო კოსტიუმი, გაისეირნოთ ტბის მიდამოების შესანიშნავ ადგილებში.

სულ ერთი საათი დგეჭრდებათ, რომ თოვლის ამ სამეფოდან თბილ, მზიან სუბტროპიკებში — კურორტ გაგრაში მოხვდეთ.

ბევრი დამსვენებელია ახლა ზამთრის კურორტ რიწაზე.

სურათზე: აი დამსვენებელთა ერთი ჯგუფი. ესენი ბაზაში გაივლიან, სათხილამურო კოსტიუმებს მოირგებენ და...

ფოტო მ. ტარასოვისა (საკდესის ფოტოკორონიკა).

ახალი ამბები

გუშინდელი ფოსტიდან

◆ ბათუმი. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს კეთილმომსახურების ბიუროს ბლაგოევგრადის ქუჩაზე გახსნა მუსიკალური სალონი. აქ პიანისტები მეცადინეობენ.

მ. გოგელიშვილი.

◆ ბიათურა. ვაჭვეის, ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში საეჭვლოტაციოდ გადაეცა ელექტროწისქვილი. აქვე გაიხსნა რაიკოოპკავშირის ახალი მაღაზია.

მ. ცერცვაძე.

◆ ოჩამჩირე. რაიონის სახალხო რაზმეულებში ჩაბმულია 1.200 კაცი. ბევრი მათგანი დაჯილდოებულია საპატიო და ქების სიგელებით. სოფელ [illegible] ხელმძღვანელმა გ. ლეკავამ ახლახან მიიღო საპატიო სიგელი [illegible] მუშაობისა[illegible].

მ. ბოხუა.

◆ ცაგერი. სოფელ ლაცორიაში აღათი ახელეანის დაბადების 90 წლისთავის დღეს სტუმრად ეწვია შთამომავლობა. აღათის შვილებს, შვილიშვილებსა და შვილიშვილთა შვილების რიცხვი 97-ს შეადგენს. თვითონ აღათი რვა შვილის დედაა. ბედნიერმა დედამ ტაბილად დალოცა უხუ სუფრასთან შეკრებილი თაყვანისმცემლობა.

კ. სილაგაძე.

XXXIV საერთაშორისო ცხრილთან

1967 Москва

ჩემპიონატის დღეებში თითქმის ყველა გულშემატკივარი ადგენს სატურნირო ცხრილს. ასეთი ცხრილი ახლა გაკრულია მოსკოვში და მოსკოვიდან დაშორებითაც. ზოგი რამ მოსკოველებზე. შარშან მათ თავიანთი „დარდი“ ჰქონდათ — დედაქალაქის ფეხბურთელთა გუნდები ძალიან ცუდად გამოვიდნენ. ახლა მოსკოველები მოჭადრაკეებსაც ავად იხსენიებენ. რაშია საქმე? რატომ პირველ ადგილზე მოსკოველი გროსმაისტერები არ არიან?

იმიტომ, რომ თბილისში ლენინგრადის ოლქიდან ჩამოვიდა „ვილაცა ლეონი“. ვინ არის ეს ლეონი? რა ნება აქვს მას, რომ ხელი იგდო ძალაუფლება და 12 გროსმაისტერი შეავიწროვა? ამბობენ, რომ „გროსმაისტერთა თათბირზე“ მიიღეს გადაწყვეტილება მომდევნო პარტიებში ეს ოსტატი სამაგალითოდ დასაჯონ. ასეა თუ ისე, შეიდნახევარი ქულით თერმინტორიდან ლეონს შეუძლია იმედით შეჰყურებდეს მომავალს. ჯერჯერობით სწორედ გროსმაისტერებმა მოამარაგეს იგი ქულებით.

რუსთაველის სახელობის თეატრის ფოიეში რამდენიმე ცხრილია გამოკრული. აქ არის ასეთი ცხრილიც: „გროსმაისტერები ოსტატების წინააღმდეგ“. საინტერესო ცხრილია. თურმე ნუ იტყვით, მარტო ლეონი როდია შრჩი. ვ. ოსნოსს ასევე კარგი ბალანსი აქვს გროსმაისტერებთან. ამ ცხრილიდან ცხადი ხდება, რომ გროსმაისტერები ძირითადად ვ. დოროშუკევიჩის „კმაყოფაზე იმყოფებიან“. გროზნოელი ოსტატი რომ არ ყოფილიყო, გროსმაისტერები ვერ მიაღწევდნენ უპირატესობას. ვ. დოროშუკევიჩი სხვა მხრივაც შველის გროსმაისტერებს. ბოლო ადგილზე არიან გროსმაისტერები ვ. ლიბერზონი და ე. ვასიუკოვი. მათ ხვედრს ანაწილებს დოროშუკევიჩი. ლიბერზონმა ჯერჯერობით ვერც ერთი პარტია ვერ მოიგო, ხოლო ვასიუკოვმა გამარჯვების სიტაბოება მხოლოდ პირველ ტურში იგემა, როდესაც ვ. სმისლოვს სძლია. რა გაახარებს საჭადრაკო მოსკოვს?

თამაშის ხარისხი უკანასკნელ დღეებში აშკარად ამაღლდა. გამონაკლისს მხოლოდ ტაიმანოვ-დოროშუკევიჩის კუნძულზე მოსკოველი ბუტაშევიჩი ეჯიბრებოდა. ეს მაშინ. როცა წინა კვირას მათ კინაღამ არ „ჩაალაგეს ჩემოდნები“. პოლუგაევსკიმ შესანიშნავად ჩაატარა ენდშპილი და სძლია შტეინს. ამ დამოლოებამ შეიძლება სპეციალური პრიზიც კი მიიღოს. მაგრამ ახლა პოლუგაევსკის ძირითადად სხვა „ენდშპილი“ აინტერესებს — შეხვდება თუ ვერა ოთხეულში. დღეს იგი კვლავ იღიმება და ამბობს, კვლავ ცოცხალი ვარო. ჩვენ ვფიქრობთ, რომ შტეინთან საუცხო ხელოვნებით და შემოქმედებითი გამარჯვების შემდეგ პოლუგაევსკიმ დაიბრუნა რწმენა თავისი ძალებისადმი.

ლიდერთა „კვარტეტი“ შორს არ წასულა. ლეონს, კრაგიუსს, გელერსა-დ

ვინ ხვდება ერმანეთს XIII ტურში

გუშინ საკავშირო ჩემპიონატის ფინალისტები ისვენებდნენ. დღეს გროსმაისტერები და ოსტატები კვლავ მიუსხდებიან საჭადრაკო მაგიდებს და განაახლებენ ბრძოლას.

მეცამეტე ტურის ერთ-ერთ ცენტრალურ შეხვედრას წარმოადგენს ლიდერების ლეონისა და კროგიუსის პარტია. გურგენიძე თეორიებით ითამაშებს აუტსაიდერის, გროსმაისტერ ლიბერზონის წინააღმდეგ.

დანარჩენი წყვილები ასეთია: პოლუგაევსკი-ტაიმანოვი, ხოლმოვი-ნიკოლაევსკი, სავონი-შტეინი, გუფელდი-ოსნოსი, ნეი-ვასიუკოვი, ბრონშტეინი-გელერი, გიბსლისი-სმისლოვი, კორჩნოი-სუეტინი.

ბურთი ფეხბურთელის მეგობარია

გვიამბობს ელენიო ერერა

მოსკოვი, 17 იანვარი. (საკდესი). „თქვენთან ჩამოვედი არა როგორც პროფესორი და დამრიგებელი, არამედ როგორც კოლეგა და მეგობარი“. ამ სიტყვებით დაიწყო აქ დღეს თავისი ლექცია „ფეხბურთის გუნდების წვრთნის გამოცდილება“ იტალიის „ინტერნაციონალეს“ კლუბის მწვთნელმა ელენიო ერერამ საუკეთესო საბჭოთა მწვრთნელების კვალიფიკაციის ასამაღლებელ სემინარზე.

ორსაათიან ლექციაზე ერერამ მისთვის დამახასიათებელი ტემპერამენტით ილაპარაკა, თუ რა მეთოდებით მუშაობს თავის კლუბში. ხშირად თარგმანი ვერც კი ასწრებდა თარგმანს. მაგრამ ერერა პირდაპირ პატარა სცენაზე ბურთით უჩვენებდა ფეხბურთის ტექნიკის ელემენტებს. როცა სემინარის წევრყანმა პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატმა მ. დ. ტოვაროვსკიმ იტალიელ სტუმარს შესთავაზა შეესვენებინა, ერერამ უპასუხა, დღეს კარგ ფორმაში ვარ და განვაგრძობ ლექციასო.

თანამედროვე ფეხბურთში თითოეულმა მოთამაშემ საჭირო დროს უნდა შეცვალოს მეორე ფეხბურთელი — ეს არის ჩემი კრედო, თქვა ერერამ. ჩემს მოთამაშეებს განვაწყობ მხოლოდ იერიშისათვის. ამიტომ ხშირად მეცადინეობებზე თავდაცვით ფუნქციებს ასრულებენ თავდამსხმელები, და პირიქით.

თქვენთან ერთად, განაგრძო მწვრთნელმა, ერთსა და იმავე საქმეს ვეწევით. ბურთი ფეხბურთელის მეგობარია. ბურთი უნდა ემორჩილებოდეს მას. ამიტომ ლექცია საბჭოთა კოლეგებისათვის ამ ანგარიშით აეკვე, რომ წვრთნაზე შემსრულებლები იყვნენ ისეთი ფეხბურთელები, როგორიც არიან იაშინი და ვორონინი. მათ დიდხანს არ უნდათ ახსნა-განმარტება, თუ როგორ შეასრულონ ესა თუ ის ვარჯიში.

ერერამ განაცხადა: საბჭოთა მწვრთნელებს ერთ-ერთი შეცდომა ნაკლია, რომ ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ მეცადინეობის დროს კარში დარტყმას ისეთ ვითარებაში, რომელიც სათამაშოს უახლოვდება.

განწყობილება ჩინებულია...

საუბარი სსრ კავშირის ხელბურთთელთა ნაკრების უფროს მწვრთნელ ბ. შარაშიძესთან

ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ საბჭოთა ხელბურთელებმა, რომლებიც შვეიცარიი იმყოფებიან, ჩინებულად ითამაშეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრების წინააღმდეგ და ესოფლიოს პირველობის ნახევარფინალში გავიდნენ.

გუშინ ქ. ვესტეროსში დაუკავშირდით ბ. შარაშიძეს, პირადად მას და გუნდს მივულოცეთ მოპოვებული წარმატება და უსურვეთ გამარჯვება, კვარტლებიანს უმაღლეს სიფეხურზე ასვლა.

შემდეგ კი ბ. შარაშიძეს ვთხოვეთ მოეთხრო გაგელილ მატჩზე, ჩემპიონატის მნიშვნელოვან საკითხებზე. აი რა გვიამბო მან:

ნახევარფინალში გასვლა თავისთავად დიდი წარმატებაა, რადგან საბჭოთა ხელბურთელები ჯერ მეხუთე ადგილზე ზევით არ ასულან. ახლა უარეს შემთხვევაშიც კი მეოთხე ადგილი უზრუნველყოფილია; მაგრამ ჩვენ ხომ სხვა გეგმები გვაქვს..

ტაქტიკად კი არ აღიარეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრების ხელმძღვანელებმა — თქვენი გამარჯვება სასუსებთ კანონზომიერიაო. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ეს ძნელი გამარჯვება იყო. ბრძოლის ერთ ეტაპზე (მეორე ტაიმი) წინ იყვნენ გერმანელები 16:15. მაგრამ ჩვენმა ბიჭებმა მალე ალადგინეს წონასწორობა, ამასთანავე უნარიანი ინიციებით ძლიეს მეტოქეს 19:16.

ჩვენს გუნდში, როგორც წინა მატჩებში, ახლაც საუკეთესო ბომბარდირი იყო კლიმოვი (8 გოლი). გატანილი ბურთებით ჩემპიონატზე მას მეოთხე ადგილი უკავია. ლიდერია ბრუნმ (ჩეხოსლოვაკია, 28 ბურთი). გერმანელებთან მატჩში სოლომკომ 4 ბურთი გაიტანა, ცერცვაძემ და ფხაკაძემ ორ-ორი, ეიზეტავიჩუსმა, ლებედევმა და ეკსეულიძემ — თითო გოლი.

ვესტეროსში დღეს ჩამოვედით, ივარჯიშეთ, გაგეცანით დარბაზს, ჩვენი მეტოქეა დანიის ნაკრები, რომელმაც იუგოსლაველებთან შეხვედრაში კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ცხადია, ბრძოლა შეუპოვარი იქნება, ჩვენი ბიჭების საბრძოლო განწყობილება ჩინებულია.

მატჩის მსელელობას ნახავთ ტელევიზორით.

რედაქტორი
დ. მჟელიშვილი.

ფეხბურთის ამგეგი

უნგრეთის ნაკრების ცენტრფორვარდი ფ. ალბერტემ, რომელიც ოიო-დეანეიროში სტუმრად იმყოფება, თავმაზე „ფლამენგოს“ საკლუბო გუნდში „ვასკო და გამას“ წინააღმდეგ. გაიმარჯვა „ფლამენგომ“ 2:0. ორივე ბურთი გატანილი იქნა ფ. ალბერტის ეშეალო მონაწილეობით.

მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელთა კოლექტივი შეუდგა ახალი სეზონისათვის მზადებას. წვრთნას ხელმძღვანელობენ გუნდის უფროსი ნ. სპარასტინი, უფროსი მწვრთნელი ს. სალნიკოვი, მწვრთნელი ნ. დემენტიევი.

მოსფლიოს ვიცე-ჩემპიონებმა — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფეხბურთელებმა ალბენში მოუგეს ლუქსემბურგის გუნდს ანგარიშით 2:0 (1:0).

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებმა კაიროში დაამარცხა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის გუნდი 2:1 (1:0).

სპორტული ქრონიკა

◆ ოსლოში „ბიშლეტის“ საცივურაოზე გაიმართა სსრ კავშირისა და ნორვეგიის მოცეურაოვეთა ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება. სტარტზე წარმატებით გამოვიდა ჩვენი გუნდი, რომელიც პირველი დღის შემდეგ წინ იყო 149:123.

500 მეტრზე საუკეთესონი იყვნენ ბ. გულიაევი და ვ. შურატოვი, 5.000 მეტრზე გაიმარჯვა ნორვეგიელმა მაიერმა.

მინისქვრა იმიერბაიკალეთში

18 იანვარს ჩიტაში 14 საათსა და 47 წუთზე ადგილობრივი დროით მოხდა მიწისძვეშა ბიძგი. შენობებში შეირხა ჭაღები, აქა-იქ ჩამოცვივდა ბათქაში.

როგორც სპეციალისტები იტყობინებიან, მიწისძვრის ეპიცენტრი არის ამურის ოლქის ტერიტორიაზე, დაბა უსტ-ნიუკეის სამხრეთ რაიონში.

მიწისძვრის ძალა ეპიცენტრში დაახლოებით შვიდ ბალს შეადგენდა. ჩიტაში მიწისზედაპირის რხევა ხუთ ბალს აღწევდა, ულან-უდეში — ოთხს.

(საკდესის კორ.).

ჩემპიონატის მონაწილეები გორში

გორი. (საკ. კორ.). გუშინ საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის მონაწილეები გორს ეწვევნენ და დათვალიერეს ქალაქის ღირსშესანიშნაობები.

შემდეგ სტუმრები იყვნენ გორის სახელმწიფო თეატრში, სადაც გაიმართა სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ვახტანგ ქარსულაძის ხსოვნის საღამო.

საღამო გახსნა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. ხინჩიკაშვილმა. ცნობილი მწვრთნელის ცხოვრებაზე ილაპარაკა ჯ. ინწიკამ. სიტყვებით გამოვიდნენ: მოსწავლე ნ. ნინოშვილი, მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ი. კრიხელი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი შ. ხერხეულიძე, მ. ტაიმანოვი, ნ. გაფრინდაშვილი, ნ. ალექსანდრია, მ. ტალი.

შესვენებისას მოეწყო ერთდროული თამაშები სეანსები. შემდეგ ქალაქის მხატვრულმა კოლექტივებმა უჩვენეს თავიანთი შემოქმედება.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ

გუშინ საქართველოში აღნიშნული იყო ნალექი, მთიან ადგილებში — თოვლი. მაქსიმალური ტემპერატურა იყო ფოთში — 8, ქობულეთში — 7, თბილისში — 6, გაგრასა და ბორჯომში — 5, სოხუმსა და ქუთაისში — 4, ბაკურიანში — 3 გრადუსი სითბო.

დღეს საქართველოში მოსალოდნელია ღრუბლიანი ამინდი ნალექით, მთიან რაიონებში თოვლი, ალაგ-ალაგ ნისლი, დასავლეთის სუსტი მტკვრის ხეობაში ზომიერი ძლიერამდე ქარი. ტემპერატურა ბარში — 0-5 გრადუსი სითბო, მთაში — 1-6 გრადუსი ყინვა. თბილისში — მნიშვნელოვანი მოღრუბლულობა ნალექით, ჩრდილო-დასავლეთის სუსტი ზომიერამდე ქარი. ტემპერატურა — 2-4 გრადუსი სითბო.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

19 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

11.00 — კინონარკვევები, 11.40 — ქართული მხატვრული ფილმი „გიორგი საკაძე“ (I სერია), 17.55 — გადაცემათა პროგრამა. 18.00 — პატარებისათვის „ცხოველთა სამყაროში“ (გადმოცემა ლენინგრადიდან), 18.30 — გადაცემა ბავშვებისათვის „ფანქარს გამოფენაზე“, 18.50 — მოსწავლეთათვის მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 19.20 — განცხადებები, 19.25 — გადაცემა „ახლებურად მუშაობის შედეგები (სტუდიაში — თბილისის ჩაის საერთო ფაბრიკის დირექტორი მ. სარკველაძე), 19.35 — კინონარკვევი, 20.20 — გადაცემა — „XXXIV ჩემპიონატი ჭადრაკში“, 20.30 — კინონარკვევი, 20.50 — საესტრადო კონცერტი „საცნობობის წელი 1966“, 21.35 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 21.55 — ქართული მხატვრული ფილმი „გიორგი საკაძე“ (I სერია).

ᲛᲔᲪᲮᲠᲔ ᲐᲠᲮᲘᲗ — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა დასაწყისი 17 ს. 50 წ.

20 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

11.00 — კინონარკვევები, 11.40 — ქართული მხატვრული ფილმი „გიორგი საკაძე“ (II სერია), 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — გადაცემა მოსწავლეთათვის — სატელევიზიო საგენტო „პიონერია“ (გადაცემა კუიბიშევიდან), 18.30 — მოსწავლეთათვის მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 18.50 —საუბარი — „პარტიული პროპაგანდის ზოგიერთი საკითხები (სტუდიაში— საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის კავშოველის სახელობის პარტიული განათლების სახლის გამგე ვ. კაკაბავა), 19.10 — „კინომოყვარულთა კლუბი“ ქართველი კინომოყვარულები საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის შესახვედრად (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.00 — „შეხვედრები ტოკიოში“ (სტუდიაში — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლ. ჩარკვიანი), 20.20 — კინონარკვევი, 20.30 — ჩვენი სატელევიზიო ალბომი, 21.10 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 21.30 — ქართული მხატვრული ფილმი „გიორგი საკაძე“ (II სერია), 23.05 — გადაცემათა პროგრამა 21 იანვრისათვის, 23.10 — ეთერშია „ახალგაზრდობა“ (გადმოცემა მოსკოვიდან).

ᲛᲔᲪᲮᲠᲔ ᲐᲠᲮᲘᲗ — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა. დასაწყისი დღისით 12 ს., საღამოს 17 ს. 45 წ.

ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲘ

19 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ბებერი მეზურნეები (წუალტუბოს რაიონის მშრომელთათვის), მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — რაც გინახავს, ეეღარ ნახავ, ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ჩემი მშვენიერი ლედი, მოზარდ მაყურებელთა ქართული — ძია ელიოზი (№ 34 -ბობ. დღის 5 ს.), კონსერვატორიის დიდი დარბაზი — საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის კონცერტი.

ᲙᲝᲛᲔᲜᲘᲡᲢᲘ

თბილისი, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეებს — 9-33-03, 9-03-09, პ/მგ მდივნის — 9-72-80, ხამდივნოსი — 9-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61, პროპაგანდის — 8-22-93, მრეწველობის — 3-20-34, ხოფლის მეურნეობის — 9-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 8 [illegible] 70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 8-27-58 ლიტერატურისა და ხელოვნების — 9-55-01, ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 9-73-24 ილუსტრაციის — 3-28-54, განცხადებების — 3-93-96.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЕ 03926

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.